„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №10 (299) 25 ოქტომბერი, ორშაბათი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

30 ოქტომბერს ადგილობრივი არჩევნების მეორე ტური გაიმართება

ეს არჩევნები ბოროტებისა და სიკეთის გადამწყვეტი ბრძოლაა

ფოთს სჭირდება რეალური თვითმმართველობა, ისეთი, როგორიც ნიკო ნიკოლაძის დროს იყო. პარტია ბევრია, თავისი პროგრამებით და კონცეფციებით, თუმცა,- ქვეყანა ერთია თავისი გასაჭირითა და სატკივარით. გავერთიანდეთ ქვეყნისა და ქალაქის წინსვლისათვის, უნდა დამთავრდეს ერთპარტიულობა - ყველა პარტიაში არიან ნიჭიერი ადამიანები, უბედურება კი ისაა, ერთ პარტიას უნდა მეფობა. ჩვენ გვჭირდება მრავალპარტიული პარლამენტი, მრავალპარტიული საკრებულოები, კოალიციური, შეთანხმებული მართვით და არა მტრობითა და დაპირისპირებით.

სანამდე-ორად გაყოფილი, ყველა პარამეტრით დაპირისპირებული ქვეყანა?!...

ქართული „ოცნების" ლიდერები ფოთში- წინასაარჩევნოდ

ირაკლი ღარიბაშვილი: ბექა ვაჭარაძე - ღირსეული ახალგაზრდა, გამოცდილი კაცია

მე-2 გვ.

ფოთის მერობის კანდიდატები:

41

პარტია „ქართული ოცნება"-

ბექა ვაჭარაძე

5

პარტია „ნაციონალური მოძრაობა" -

გიგი უგულავა

მილოცვა

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი კვესიტაძეს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა

მე-3 გვ.

ფიქრები მშობლიური ქალაქის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე

იგორ მამალაძე: ფოთში-ამ პატარა ქალაქში ყველა დარგი იყო განვითარებული

საუბარი საკუთარ თავთან 80 ნლის გადმოსახედიდან

მე-3 გვ.

30 წელი - ხელისუფლებისათვის ბრძოლას ეწირება, მტრულად გაყოფილი, დაპირისპირებული ქვეყანა, არადა, იგი ერთია თავისი სიხარულითა და სატკივარით

აქციებით, მიტინგებით, პროვოკაციებით, რევოლუციებით ქუჩიდან მოსული ხელისუფლებების დრო წავიდა, მით უფრო - ნაცრეჟიმის-ნეოფაშიზმის.

10 წლის მერე ივივე მოწოდება-დავამარცხოთ „ნაცმოძრაობა", სანამდე ამ უბედურების ბედნიერებით ცხოვრება?

დავამარცხოთ სიღარიბე, შური და მტრობა, თორემ ერთ დროს ხალხი დაიქუხებს... მე-2 გვ.

მილოცვა

ფოთის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება

ღირსეულ ადამიანებს ამაგი დაუფასდათ

მე-3 გვ.

ფოთში ოლიმპიური ხეივანი გაიხსნა

მე-5 გვ.

თეოფანე დავითაიას სახელობის პირველი საჯარო სკოლის ახალგახსნილ იდეათეკაში, ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, კურსდამთავრებულების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა

მე-6 გვ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დამსახურებული მსახიობის, ღირსების ორდენის კავალერის, ფოთის საპატიო მოქალაქის, ქალბატონი

ქუქუნა ჩხეიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ფოთის თეატრის კოლექტივს

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი სამეურნეო მუშაკის

ბორის ლოლუას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქართული „ოცნების" ლიდერები ფოთში წინასაარჩევნოდ

ირაკლი ღარიბაშვილი: ბექა ვაჭარაძე ღირსეული ახალგაზრდა და გამოცდილი კაცია

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, და "ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, 22 ოქტომბერს ფოთში იმყოფებოდნენ, ისინი ფოთის მერობის კანდიდატს ბექა ვაჭარაძეს და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

შეხვედრის ძირითადი მიზანი ფოთში, თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურია.

,,აქ ძალიან ცოტა დაგვაკლდა იმისთვის, რომ პირველივე ტურში დაგვემთავრებინა არჩევნები, გვყავს ძალიან ღირსეული ახალგაზრდა და ამავდროულად გამოცდილი კაცი, ბექა ვაჭარაძე, რომელიც გახდება ფოთის მერი და მოემსახურება მუნიციპალიტეტს,ძალიან ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ, ცენტრალურ მთავრობასთან ერთად ფოთისა და ფოთელებისთვის,

დარწმუნებული ვარ, ფოთის მოსახლეობა,აბსოლუტური უმრავლესობა მზად არის, ეს არჩევნები სრულად მშვიდად დაასრულოს, ბექას გამარჯვებით, იმიტომ, რომ სხვა რეალური ალტერნატივა, პერსპექტივა არ აქვს დღეს ქვეყანას, გარდა იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვოს ყველა მუნიციპალიტეტში. ეს ასეც იქნება და უგულავა დამარცხდება სამარცხვინოდ, ისე, როგორც უკვე დამარცხდა 8-ჯერ მისი მჩაგვრელი პარტია"- განაცხადა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შეგახსენებთ, სამეგრელოს რეგიონი ერთ-ერთია იმ ოლქებს შორის, სადაც არჩევნების მეორე ტური გაიმართება,სწორედ ამიტომ მთავრობის წარმომადგენლები რეგიონებში აქტიურ შეხვედრებს მართავენ

ფოთის მერობის კანდიდატს,ბექა ვაჭარაძეს მხარი დავუჭიროთ საბოლოო გამარჯვებამდე

დავფიქრდეთ, ვის ვაბარებთ ქალაქს - ღირსეულ, ნიჭიერ ახალგაზრდებს, თუ ძალადობრივი რეჟიმის კორუმპირებულ ფავორიტებს?

საქართველოს საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების განვითარება ბოლო დროს მნიშვნელოვნად შეაფერხა ძალადობრივი რეჟიმის დესტრუქციულმა ქმედებებმა. ამას დაემატა უმძიმესი საყოველთაო პანდემია, ქვეყანაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ვითარება სათავისოდ გამოიყენეს შინაურმა და გარეშე მტრებმა. მათ პროვოკაციებს,დესტაბილიზაციის მცდელობას,სამოქალაქო დაპირისპირებას რამდენჯერმე გადაურჩა ქვეყანა. კვლავ ძალაშია რევოლუციური სცენარები, რისი დასტურიცაა სააკაშვილის ფარული შემოსვლა საქართველოში.

საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი, და არა მარტო,მას პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევს,რაც პოლიტიკური მეხსიერების დაქვეითებაზე თუ უგულვებელყოფაზე მიუთითებს. არადა, ძალადობრივი რეჟიმის შემოქმედის დანაშაულებები არც ერთ პოლიტიკურ ბრალდებებში არ ეტევა. მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ჩვენი ქალაქის მაგალითზე ავღნიშნავთ, რომ ძირითადი შემოსავლის წყარო-ნავსადგური ერთი ამწის ფასად გაყიდეს, ქალაქს დაუკარგეს საზღვაო კარიბჭის სტატუსი. დაიჭირეს უდანაშაულო ადამიანები, ბიზნესმენები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და ა.შ. მიუხედავად ამისა ნაციონალურ მოძრაობას ფოთში ბევრი მომხრე გამოუჩნდა. არჩევნების მეორე ტურში გავიდა ნაცმოძრაობის წარმომადგენელი გიგი უგულავა, კაცი, რომელიც გასამართლებულია დიდი რაოდენობით თანხის [50მილიონი ლარის] მითვისებისათვის. ის არის იმ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც, როგორც ავღნიშნეთ, სახლვაო ნავსადგური გაუყიდა ქალაქს და ათასობით ფოთელი უმუშევარი დარჩა. დღეს, თითქოს აწუხებს ფოთის ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, რისთვისაც სამეგრელო ზემოსვანეთის გუბერნატორად ყოფნისას არ შეუწუხებია თავი.

,,ოცნებამ" თავისი ცხრა წლიანი მმართველობის პერიოდში ვერ შეძლო ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა,ბევრი ტოვებს ქვეყანას. ეს განაწყენება არჩევნების შედეგებზეც აისახა. დიდი შეცდომა იყო ნაციონალებთან კოჰაბიტაცია, რაც დღესაც თავსატეხია ქვეყნისათვის. პოლიტიკური ძალების განახლების წინააღმდეგი არავინაა,სწორედ ესაა პროგრესის საფუძველი.ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ პატიოსანი,ღირსეული პროფესიონალი ახალგაზრდები ყველა პარტიიდან,რაც კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების საწინდარია,რომლის კონტურებიც იკვეთება.სწორედ ამ სულისკვეთებით ცხოვრობს ჩვენი ქალაქი.

პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, მათ შორისაა ქართულ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი პიროვნება ბექა ვაჭარაძე -ფოთის მერობის კანდიდატი. სრულიად ახალგაზრდა კაცმა წარმატებით გაიარა პოლიტიკური წრთობის გზა თვითმმართველობის ორგანოებში,როგორც დეპუტატმა და ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ. მას წინ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, მთავარია მისი განსაკუთრებული ხედვა და სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი.

ახლებური ხედვა ფოთის განვითარებაზე, რაც ცნობილია პრესით და ტელევიზიით, ესაა ნიკოლაძისეული კონცეფციის განვითარება, ახალი რეალიების გათვალისწინებით, ფოთის მარადიული პრობლემების თანდათან გადაწყვეტა, ტრადიციული დარგების აღორძინება და ა.შ.

მივმართავთ ქალაქის საზოგადოებას, ახალგაზრდობას, პროგრესულ ძალებს მხარი დავუჭიროთ არჩევნების მეორე ტურში, საბოლოო გამარჯვებისათვის ბექა ვაჭარაძეს-ფოთის მერობის კანდიდატს.

30 წელი- ხელისუფლებისათვის ბრძოლას ეწირება, მტრულად გაყოფილი, დაპირისპირებული ქვეყანა, არადა, იგი ერთია თავისი სიხარულითა და სატკივარით

აქციებით, მიტინგებით, პროვოკაციებით, რევოლუციებით ქუჩიდან მოსული ხელისუფლებების დრო წავიდა, მით უფრო - ნაცრეჟიმის-ნეოფაშიზმის.

10 წლის მერე იგივე მოწოდება-დავამარცხოთ ,,ნაცმოძრაობა",სანამდე ამ უბედურების ბედნიერებით ცხოვრება?

დავამარცხოთ სიღარიბე, შური და მტრობა, თორემ ერთ დროს ხალხი დაიქუხებს...

დამოუკიდებელი,სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი საფუძველია სახალხო დემოკრატია, რათა ქვეყნის მმართველობით ორგანოებში არჩეულ იქნან პატრიოტი, განათლებული და პატიოსანი ადამიანები, რომლებიც ნდობას გაამართლებენ და იზრუნებენ ქვეყნის განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობისათვის. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის 30 წელმა დაგვანახა,რომ ამ მოთხოვნებს დავცილდით. ფსევდო დემოკრატიით მივიღეთ სამოქალაქო ომი, ერთპარტიული, კორუფციული მმართველობა, ნეოფაშისტური რეჟიმი და ბოლოს არაფორმალური მმართველობა, ასე, რომ ისევ დემოკრატიის მერხებზე ვსხედვართ. ძალადობრივი რეჟიმი არჩევნებით არ მოსულა - ვარდების რევოლუციას მოჰყვა. რომლის მოსაცილებლად ხალხს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ,,ოცნების" უნიათობით ,,ნაცები" ისევ გამოჩნდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. და ისევ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, მისი საბოლოოდ ჩამოცილება, ვიდრე ისევ მოვიდოდეს ხელისუფლებაში. ეს საშიშროება დაგვანახა მიმდინარე საარჩევნო კამპანიამ. ხალხი იმდენად ,,ნაცების" მომხრე არაა, რამდენადაც უკმაყოფილო ოცნების მოდვაწეობით, ამომრჩეველთა ნაწილს კი რეჟიმის დაბრუნება აშინებს, ხოლო ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი, რომელიც არჩევნებზე არ მოსულა, ახალი ძალების მოლოდინშია. ასე რომ დიდხანს ვერ იმუშავებს ,,ნაცების", როგორც მტრის ხატის პოსტულატი. ამაზე მიუთითებს ნაცმოძრაობის საპროტესტო ტალღის აგორება, რაც ერთგვარად გაამძაფრა მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებამ, რომელიც ისევ აპირებს ხელისუფლებაში დაბრუნებას და დასავლეთის და ამერიკელების იმედი აქვს, რაც ერთგვარად დიდ რუსეთსაც უნდა, რომელსაც ჯერ ტერიტორიები ჩაბარა, შემდეგ სტრატეგიული ობიექტები მიყიდა, წაგებული ომიც იზეიმა, ამერიკელების ქებაც დაიმსახურა და დიდი ფინანსური საზღაურიც მიიღო. ასეთ პიროვნებას ზვიად გამსახურდიას ადარებენ. იგი დამნაშავეებმა გასწირეს, ხოლო სააკაშვილი თავად არის დამნაშავე და დანაშაულებრივი რეჟიმის შემოქმედი, რომელიც არცერთ პროკურატურულ ბრალდებაში არ ეტევა. ევროპელი თანამოაზრეები წინააღმდეგი არიან მისი საქართველოში გასამართლების, სააკაშვილი თავისავე ფავორიტი მოსამართლეების, მურუსიძისა და ჩინჩალაძის სასამართლოს არ ენდობა, რომელთაც უამრავი უდანაშაულო ადამიანი ციხეში გაამწესებინა. სააკაშვილის მხარდამჭერს ოდნავ მაინც ხომ უნდა აწუხებდეს ასობით ჩახოცილი ახალგაზრდების სიცოცხლე, 7 ნოემბერი და 26 მაისი, როგორც ბართლომეს ღამე და ათასი სხვა უბედურება.

,,ოცნების" წინააღმეგ ბრძოლაში სააკაშვილის გვერდით დადგა ოპოზიცია. დამნაშავე ექსპრეზიდენტის შეწყალებას მონანიების გარეშე ითხოვს სინოდის 40-მდე წევრი. რომელთაც აზრად არ მოსვლიათ შეეწყალებინათ უდანაშაულო ადამიანები. ეკლესია პოლიტიკაში არ უნდა ერეოდესო - გაიძახდნენ ,,ნაცები", ახლა კი დასჭირდათ ეკლესია. მართლაც არ უნდა ერეოდეს ეკლესია პოლიტიკაში და თუ ჩაერევა სამართლიანობის მხარეს უნდა დადგეს და არა დანაშაულებრივი რეჟიმის დასაცავად. ეკლესია ყველას უნდა აყალიბებდეს კეთილ ადამიანებად, პატრიოტებად, მათ შორის იმათ, ვინც ქვეყნის სათავეშია. არ შეიძლება ერის მამად შერაცხო ის, ვიცსაც, ,,ოჯახში არააქვს სამშობლო და სამშობლოში არააქვს ოჯახი". არ შეიძლება შევუნდოთ იმ კაცს, რომელმაც ნახევარი საქართველო დააწიოკა. მათი ქვითინი უნდა აღვიძებდეს ქვეყანას. ასეთ დროს ჩნდება კითხვა ვისთვის რეკს ზარი? სააკაშვილის შენდობა მგლის თავზე სახარების კითხვას გავს. უნდა გავიაზროთ რა შეიძლება მოყვეს ამ პოლიტიკური ძალის მობრუნებას. კიდევ ერთი საბაბი და ქვეყანა ახალ ომში გაეხვევა. ,,ნაცების" ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდა დამაფიქრებელია, რაც ერთგვარად ქვეყანაში უკიდურესმა სიდუხჭირემაც განაპირობა.

დემოკრატია, არჩევნები ხალხის კეთილდღეობაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა პარტია-კლანების, თუ პიროვნებების კეთილდღეობაზე, კონსტიტუციაზე მაღლა რომ დააყენეს თავი.

პარტიები გაიძახიან ჩვენ გავიმარჯვებთ, მაგრამ რას მოუტანს ქვეყანას ეს გამარჯვება? დემოკრატია ,,ნაც-ქოცების" კინკლაობის იქით ვერ წავიდა, არადა, ქვეყანა, ხალხი პარტიაზეც მეტია, ძალაუფლებაზეც, დემოკრატიაზეც. ყველაფერი ხომ ხალხიდან მოდის.უნდა დამთავრდეს ხალხის გაჭირვებით სპეკულაცია და ბრძოლა მათი სახელით ხელისუფლების უზურპაციისათვის. 30 წელია ერთ წრეში ვტრიალებთ,ისევ ვერტიკალური მმართველობა,როგორც სსრკ დროს. ხალხი ცვლილებების მოლოდინშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს ნეოფაშიზმის დაბრუნებას. და მხოლოდ ოცნების მხარდაჭერას. პროგრესი მრავალპარტიულობასა და კოალიციურ მთავრობაშია - ერთი პარტიის პარლამენტი და მთავრობა შორაა დემოკრატიისაგან.შეეხება საგარეო ურთიერთობებს, ნეიტრალური პოზიცია უნდა აღვადგინოთ. პატარა ქვეყანას არ ძალუძს დიდ აგრესორთან შეჭიდება და არც არავინ დაეხმარება როგორც 2008 წელს. ყველასთან პარტნიორობით შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა და არა დიდი სახელმწიფოს გინებითა და პროვოკაციებით, თანაც ვიღაცის დაკვეთით. ერთ სახელმწიფოსთან პარტნიორობა მეორესთან მტრობას არ უნდა ნიშნავდეს. ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ქვეყანა მტრულ ბანაკებად, პარტიებად, მედიებადაა დაყოფილი, არადა, იგი ერთია. ნეოფაშიზმის დამარცხებისკენ მოწოდება ვერ გადაფარავს ხალხის სიდუხჭირეს, თუმცა, ეს, როგორც ავღნიშნეთ, არ ნიშნავს ,,ნაცრეჟიმის" დაბრუნებას პოლიტიკაში. სამწუხაროდ, პარტიები, კლასიკური გაგებით ნელა ყალიბდება ქვეყანაში.

დროა დავამთავროთ ყვარყარიზმი, სააკაშვილი და მისი კლანი წარსულია... დროა მოვიდნენ ახალი ძალები - პატრიოტები და პროფესიონალები, ამაშია პროგრესი და განვითარება.

ზ. აბრალავა

მილოცვა

ფოთის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება

ღირსეულ ადამიანებს ამაგი დაუფასდათ

ოლიმპიურ ხეივანში ფოთის საპატიო მოქალაქეობის წოდების მინიჭების ცერემონიალი შედგა. ჯილდოები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა **გოჩა კურდღელიამ** და ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ირაკლი ხახუბიამ** გადასცეს.

ქალაქის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებებისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას ბრძანებით საპატიო მო-ქალაქეებად დასახელდნენ:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი **გიორგი კვესიტაძე**;

ფოთის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსი **გოჩა ქორქია**;

საქართველოს დამსახურებული პედაგოგი **ნატრული ტაბიძე**;

ცნობილი ექიმები: **ვენერა მელქაძე**, ღირსების ორდენის კავალერები– **მიხეილ ლეჟავა** და **მაყვალა ამაღლობელი**;

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ნინო ჭანტურია**;

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების წარმომადგენლები: **თინა ლაკია, ინეზა კუპრაძე, ნაზი ჯინჭარაძე**.

კულტურის დამსახურებული მუშაკი **სოსო გვაძაბია**;

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი **ლიანა წურწუმია**;

ქართულ-ებრაული ურთიერთობების მოამაგე **ლიანა პაპისმეღოვა**;

ოლიმპიური პრიზიორი **ვლადიმერ ჭანტურია**;

ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი **ნიკო კუცია**;

სპორტსმენი და სპორტული ჟურნალისტი **ბადრი ბასილაია**;

ფოთისა და ხობის ეპარქიის დეკანოზი **კოსტანტინე ბურჯანაძე** და დეკანოზი **თევდორე ბასილაია**;

ქალაქის საკრებულოს საზოგადოებრივი სათათბიროს წევრი, ფოთის მერიის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე **ილია ქვარცხავა**;

სამეურნეო და კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკი **მურმან კოკაია**;

ცნობილი ინჟინერი **ზაურ ლუტიძე**;

ფოთი ელექტროაპარატის დირექტორი, ფოთის გემთმშენისა და ფოთი ელექტროაპარატის გენერალური დირექტორი **იგორ მამალაძე**;

ღვაწლმოსილი სამეურნეო და სამშენებლო უწყების მუშაკები **ქერონ შუბითიძე, ჯემალ გურგენაძე, ზაურ ბერაია, ზურაბ კვარაცხელია**;

ღვაწლმოსილი ფოთელი, კავტრექსფოთის თანადამფუძნებელი და გენ. დირექტორი **რობერტ გვაზავა**,

ძალოვანი უწყების ღვაწლმოსილი მუშაკი **იური კვარაცხელია**.

დაჯილდოების ცერემონიალს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი გუგუჩია** მოადგილესთან **ნინო ვიბლიანთან** ერთად დაესწრო.

მილოცვა

საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი კვესიტაძეს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა

ქართული საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი ბატონ გიორგი კვესიტაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. ის გახლავთ მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი. უამრავი მონოგრაფიის, სამეცნიერო სტატიების და გამოგონებათა ავტორი, საერთაშორისო გრანტების მფლობელი, ეკოლოგიურ და ბიოლოგიურ მეცნიერების განვითარების დარგში შეტანილი წვლილისათვის არაერთხელ იქნა დაჯილდოებული საერთაშორისო მასშტაბით.

ამ დღეებში ბატონ გიორგი კვესიტაძეს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია ბატონ გიორგისა და მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობა ფოთის მერიასთან. 2019 წლის მაისში ხელი მოეწერა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისა და ფოთის მერიის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმს. ფოთი, როგორც ევროპისა და აზიის უმნიშვნელოვანესი გზაგამტარი თავისი სტრატეგიული მდებარეობისა და მნიშვნელობის გამო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ისტორიული ფუნქციის გათვალისწინებით აუცილებელი გახდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჩართულობა აკადემიის სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება ქალაქში განსახორციელებელი დიდი პროექტების მეცნიერულ დონეზე ექსპერტიზისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის. ფოთის მომავალი საზღვაო დარგების, ნავსადგურის, გემთმშენებლობის, თევზრეწვის, და ა.შ. ამ სფეროში მეცნიერებათა მიღწევების დანერგვას და ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო კერების შექმნას უკავშირდება.

როგორც ბატონმა გიორგი კვესიტაძემ აღნიშნა, აკადემიის სამეცნიერო პოტენციალი გამოყენებული იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო კერების გაფართოებისათვის, განსაკუთრებით საზღვაო სფეროში.

ვულოცავთ დიდ მეცნიერს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს ქართული მეცნიერების შემდგომი წინსვლა-განვითარების საქმეში.

საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა) ასოციაცია

ფიქრები მშობლიური ქალაქის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე

იგორ მამალაძე: ფოთში-ამ პატარა ქალაქში ყველა დარგი იყო განვითარებული

საუბარი საკუთარ თავთან 80 წლის გადმოსახედიდან

კოვიდის დასკვნით გადამიყვანეს ქუთაისის ინფექციურ კლინიკაში, ეს მოხდა უცებ, უჩვეულო სიმყუდროვემ გამომაფხიზლა. ერთბაშად აღმოვჩნდი დუმილის სამყაროში. გაოგნებული ვმოგზაურობდი უცხო მხარეში, ვერაფერს ვგრძნობდი, არაფერი მესმოდა. როგორღაც ყველაფერი წესრიგში ჩადგა, ერთადერთი ფიქრი ტრიალებდა ჩემში: სად ვარ? რა ხდება? მერე ეს ფიქრიც გაქრა. მერე აღმოვაჩინე სიცოცხლე. მე ხომ ასე უბრალოდ სიკვდილი არ მინდოდა. კლინიკაში სამი კვირა დავყავი. აქვე მომივიდა აზრი 80 წლის გადასახედიდან გავსაუბრებოდი საკუთარ თავს და აღმედგინა ჩემს მიერ განვლილი გზა.

__იგორ მამალაძეს__ კარგად იცნობს ფოთის საზოგადოება, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ქალაქის ცხოვრების თანაზიარია. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ცალკეული დარგების განვითარებაში. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა თევზრეწვის დიდი გაერთიანება გადამამუშავებელი კომპლექსებით. მას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის მსოფლიოში აღიარებული წყალქვეშა ფრთიანი ხომალდების ახალი თაობის -,,კოლხიდის" მშენებლობაში.

ბატონ იგორს ახლახან 80 წელი შეუსრულდა, ღვაწლმოსილ პიროვნებას ამ დღეებში ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ვულოცავთ იუბილეს, საპატიო მოქალაქეობას, კვლავაც მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ დიდებულ ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

გთავაზობთ მის წერილს წლების გადასახედიდან. მასში ბევრი რამაა საგულისხმო ახალი თაობისათვის, რომ კარგი საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება.

ცოტა რამ ჩემს ქალაქზე: ფოთი არის ერთი პატარა მეგობრობის, სიყვარულის, ერთმანეთის გამტანიანობის, მშრომელი ადამიანების ქალაქი, რომელშიც მრეწველობის თითქმის ყველა დარგი იყო განვითარებული: გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, ტრიკოტაჟის და სამკერვალო ფაბრიკები, ტორფის გადამამუშავებელი ქარხანა, ელექტროტექნიკური ქარხნები, ჩაის კონცენტრატების კომბინატი, წისქვილ-ქარხანა, მრავალი საშუალო თუ მცირე საწარმოები, კოლხეთმშენის ძლიერი გაერთიანება, 9 სამშენებლო ტრესტი, რომელიც ემსახურებოდა დასავლეთ საქართველოს, ციტრუსების რესპუბლიკური გაერთიანება, საოკეანო თევზჭერის სამმართველო 18 ერთეული საოკეანო თევზსაჭერი ტრაილერებით და, რაც მთავარია, ფოთელების და არა მარტო ფოთელების საამაყო ნავსადგური, რომელიც ამიერკავკასიის საზღვაო ჭიშკარია, ძლიერი რკინიგზის პარკი თავისი ინფრასტრუქტურით, ავტოგადაზიდვების საკავშირო გაერთიანება „სოიუზვნეშტრანსი", რომელიც რკინიგზასთან ერთად ემსახურებოდა ნავსადგურში შემოსულ ტვირთების გადაზიდვას. ნებისმიერი ფოთელისთვის რომ გეკითხათ შენ სადაური ან რა ეროვნების ხარო? ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, მეგრელი, გურული, ებრაელი, რუსი თუ სომეხი, ყველა ამაყად გიპასუხებდათ: „მე ვარ ფოთელი!" ამის მაგალითები ბლომად იყო ჩემს ქალაქში.

აი, ამ ქალაქში დავიბადე მე 1941 წელს. მშობლები: დედა-ვენერა დანგაძე-ჩიქოვანი, დიასახლისი, მამა-სერგო მამალაძე, ნავსადგურის მუშა, წამყვანი ელქრომექანიკოსი. მას ხუმრობით ნავსადგურში არსებული ტექნიკის მკურნალს ეძახდნენ. მამა ნავსადგურის ვეტერანი იყო, მას სხვაგან არსად უმუშავია. მშობლები სამ შვილს გვზრდიდნენ. უფროსი მე ვიყავი, მომდევნო იყო ჩემი და ლედი, რომელიც გარდაიცვალა და ნაბოლარა ჩემი ძმა, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

დავამთავრე ფოთის მეხუთე ვაჟთა სკოლა და დავიწყე მუშაობა ნავსადგურში, საიდანაც ჯარში გამიწვიეს. ჯარში სამი წელი დავყავი. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა კვლავ ნავსადგურში გავაგრძელე. იმ დროს ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივანი იყო ერუდირებული, ინტელიგენტი, ფოთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი მამია ჯაბუა, რომლის წყალობითაც განისაზღვრა ჩემი მომავალი ცხოვრება. რეკომენდაცია გამიწია ზემდგომ ორგანოებში.

1963 წელს ამირჩიეს ნავსადგურის კომკავშირის კომიტეტის მდივნად. სხვა და სხვა პერიოდში ვიყავი ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივანი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრასპორტის განყოფილების გამგე. ამავე პერიოდში დავამთავრე ქ. ოდესის საზღვაო ტრანსპორტის ინსტიტუტი. წლების განმავლობაში ვიმუშავე ახლადაშენებული საოკეანო თევზჭერის სამმართველოში.იყო წარმატებები, წარუმატებლობაც.

ერთი მაგალითი იმისა თუ როგორ შეუძლია ნამდვილ ფოთელებს გვერდში დგომა. ერთ დღეს მირეკავს ზაურ არჩაიძე, რომელიც იმ დროს იყო გემთშემკეთებელ-გემთმშენებელი ქარხნის დირექტორი და მთხოვა ქარხანაში მისვლა. ქარხანაში დამხვდნენ გურამ ნიკურაძე, მერაბ მამალაძე, დემურ ბერაია და ვიღაც უცნობი რუსი ეროვნების პიროვნება. როგორც შემდეგ გავარკვიე, იყო წყალქვეშა ფრთიანი „კომეტის" კონსტრუქტორი. ბჭობდნენ ჩემზე თუ სად უნდა დამეწყო მუშაობა, გემთმშენში, ნავსადგურში თუ ელექტრომექანიკურ ქარხანაში. ზაურ არჩაიძემ მიიღო გადაწყვეტილება: „იგორი მუშაობას ქარხანაში დაიწყებს და მთელ პასუხისმგებლობას ჩემ თავზე ვიღებო". იქვე კონსტრუქტორს სთხოვა დამხმარებოდა. ასე დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება. რამოდენიმე თვის შემდეგ კაბინეტში მიბარებს ზაურ არჩაიძე, მაძლევს სამოთახიანი ბინის გასაღებს ახლადაშენებულ სახლში და მეუბნება: „მოჰკიდე შენს ცოლ-შვილს ხელი და დაიწყე ახალი ცხოვრება, ჩვენ დაგიდგებით გვერდში". აი ის ფაქტორი რომელსაც ჰქვია „ფოთელობის" გამოვლინება.

სამი წლის განმავლობაში ვიმუშავე ქარხანაში რიგითი კონსტრუქტორიდან მთავარი ინჟინრის მოვალეობის შესრულებამდე. მანამდე ვიყავი საექსპერტო სამსახურის უფროსი, ამ პერიოდში მოხდა რამდენიმე კომეტის გაყიდვა უცხოელებზე ჩვენთვის მისაღებ ფასებში. ზაურ არჩაიძის რეკომენდაციით „სუდოიმპორტმა", რომელიც იყო ჩვენი ძირითადი დამკვეთი, დამაჯილდოვა 10000 აშშ დოლარით, ეს იმ პერიოდში ძალიან დიდი ფული იყო. ასეთი ფოთელების დავიწყება არ შეიძლება.

ზაურ არჩაიძემ გამიწია რეკომენდაცია ქალაქის ხელმძღვანელობასთან, ქარხანა „ფოთიელექროაპარატის" დირექტორად დანიშვნის თაობაზე. ზაურმა გზა დამილოცა და მითხრა:" იგორ, იმედია, ამ ჩამორჩენილ ქარხანას ფეხზე დააყენებ და რატომღაც მგონია იქნები „გემთმშენის" დირექტორი."- რაც გამართლდა კიდეც.

ქარხანაში რამოდენიმე წელი ვიმუშავე და ჩამორჩენილი ქარხანა გახდა ქალაქში ერთ-ერთი მოწინავე. არ შემიძლია არ გავიხსენო ქარხნის ენთუზიასტები: სანდრო ქავთარაძე, რომელსაც ჰქონდა ჩაბარებული საწარმოო პროცესების მართვა, ქარხნის მთავარი ინჟი-

გაგრძელება მე-4 გვ-ზე

ფიქრები მშობლიური ქალაქის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე

იგორ მამალაძე: ფოთში-ამ პატარა ქალაქში ყველა დარგი იყო განვითარებული

საუბარი საჯუთარ თავთან 80 ნლის გაღმოსახელიღან

დასაწყისი მე-3 გვ-ზე

ნერი ვლადიმერ ივანოვი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგაზე, კონსტრუქტორები ჩაჩიბაია, გოგოლიშვილი, მიქანაძე, საამქროს უფროსები წულაია, ბოკუჩავა და ბევრი სხვა. ყველას ვუხდი დიდ მადლობას.

ამ პერიოდში ავაშენეთ საბავშვო ბაღი, ქარხნის თანამშრომელთა შვილებისთვის უფასო მომსახურებით, 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. ქარხნის ძირითადი კონტიგენტიდან გამომდინარე მოვაწყვეთ გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური კაბინეტები,ქალთა დასვენების ოთახი. შემოვიღეთ ქარხნის თანამშრომლებისთვის ყოველწლიური სავადებულო სამედიცინო შემოწმება. ხელშეკრულების საფუძველზე ვიწვევდით ქალაქის საუკეთესო სამედიცინო პერსონალს.

ჩვენს ქალაქში მიმდინარეობდა ცნობილი ფოთის ექსპერიმენტი. ბაკურ გულუამ მთხოვა გამეანალიზებინა და მომემზადებინა წინადადებები ქ. ფოთში ქაფშიის რეწვის მდგომარეობის შესახებ. ქ. ფოთში შემოდგომა-ზამთრის პერიოდში პრინციპში წყდებოდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ უკრაინისა და რუსეთის ეკონომიკის შევსება. რეწვის პერიოდში ქ. ფოთში იკრიბებოდნენ აზოვის და შავი ზღვის მცირე თევზსაჭერი გემები დაახლოებით 250-300 ერთეული. რეწვას ხელმძღვანელობდა ქერჩის „რიბპრომის“ შტაბი. მოპოვებული ნედლეულის რაოდენობა ჩვენთვის უცნობი იყო. ასი ათასობით ტონა ქაფშია-ნედლეული გაჰქონდათ უკრაინაში და რუსეთში, სადაც ხდებოდა მათი გადამუშავება და იღებდნენ დიდ მოგებას მოპოვებული თევზის რაოდენობიდან, რომელიც შადგენდა დაახლოებით 500 ათას ტონაზე მეტს. საქართველოში რჩებოდა მხოლოდ 5-6%. საქართველოს მეთევზეთა კოლმეურნეობებს ფოთს, ბათუმს, სოხუმს და გაგრას კურირებდა საოკეანო თევზჭერის სამმართველო, რომელსაც თავისი პრობლემები ჰქონდა თავზესაყრელად.

შევისწავლე საქართველოს შავიზღვისპირეთში თევზის რეწვის, მისი გადამუშავების, მეთევზეთა კოლმეურნეობების შესაძლებლობები.

მეთევზეთა კოლმეურნეობების გაერთიანების შექმნის აუცილებლობის დასაბუთებლად შევადგინეთ კომერციული წინადადებები ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების, არსებული სიმძლავრეების სრულად ამოქმედების, თევზსაჭერი ფლოტის შევსების, ახალი ტექნოლოგიური ხაზების დანერგვის, ახალი მეთევზეთა კოლმეურნეობების შექმნის და ბევრი სხვა სიახლეები. შევადგინეთ მეთევზეთა კოლმეურნეობების მმართვის სქემა. აღნიშნული წინადადებები განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო იყო 3 მილიონი მანეთი, რომელსაც სესხის სახით, 3 წლის ვადით, ვითხოვდი მეთევზეთა კოლმეურნეობების საკავშირო გაერთიანებიდან. მთავრობამ მომცა სარეკომენდაციო წერილი. მიმავლინეს ქ. მოსკოვში, სადაც უნდა დამეცვა ჩვენი წინადადებები. ბევრი კამათისა და განხილვის შემდეგ მომცეს თანხმობა საქართველოს მეთევზეთა კოლმეურნეობების დამფუძნებელთა ყრილობის ჩატარების თაობაზე. 1986 წელს ქ. ფოთში ჩატარდა საქართველოს მეთევზეთა კოლმეურნეობების დამფუძნებელთა ყრილობა, რომელმაც აირჩია გაერთიანების გამგეობა, თავმჯდომარედ ამირჩიეს მე, დაამტკიცა წესდება, სარევიზიო კომისია და თხოვნის წერილი, საკავშირო გაერთიანების სახელზე, ფინანსური დახმარების შესახებ. ამგვარად შეიქმნა „საქართველოს კოლმეურნეობების მეთევზეთა გაერთიანება“, რომლის ცენტრიც იყო ქ. ფოთში. გამოგვიყვეს უპროცენტო სესხი 3 მილიონი მანეთის ოდენობით. აღნიშნული თანხის დიდ ნაწილი ქ. მოსკოვში ვაქციე 6 ერთეულ თევზსაჭერ გემად, თევზის გადამუშავების ახალ ტექნოლოგიურ დანადგარებად, სხვა და სხა ტიპის ავტოტრანსპორტად.

პირველ ეტაპზე შევქმენით 3 ახალი მეთევზეთა კოლმეურნეობა: გრიგოლეთში, ყულევში, ოჩამჩირეში. მივეცით თითო ახალი თევსაჭერი გემი, თევზის გადამამუშავებელი ახალი ტექნიკური დანადგარები, 2 სანაპირო თევზმჭერი ბრიგადის შექმნის უფლება, რომელსაც ლიცენზია ჩვენ გავუფორმეთ თევზის დაჭერაზე. გავუწიეთ ფინანსური დახმარება. გავაძლიერეთ გაგრის კოლმეურნეობა, ერთი თევზსაჭერი გემი, შევქმენით რამოდენიმე სანაპირო თევსაჭერი ბრიგადები, დავუკანონეთ ლიცენზიები თევზის მოპოვებაზე. კინდღის საკეფალე მეურნეობასა და ბიჭვინთის საკონსერვო საწარმოს ჩავუტარეთ სრული რეკონსტრუქცია, რომლებიც ითვლებოდნენ დამოუკიდებელ ერთეულებად, კონტროლის მიზნით ისინი დავუქვემდებარეთ გაგრის კოლმეურნეობას.

ფოთის, ბათუმის, სოხუმის კოლმეურნეობებს დავუსახეთ მოპოვებული თევზის გადამუშავების სასურსათო პროგრამა, რისთვისაც მოვახდინეთ სრული ტექნოლოგიური გადაიარადება, სამაცივრო სიმძლავრეების გაზრდა, სანაპირო თევზსაჭერი ბრიგადების გაძლიერებაზე და მუშაობაზე კონტროლის დაწესება, რითაც შევქმენით ახალი სამუშაო ადგილები.

ფოთის კოლმეურნეობის ბაზაზე პაპიასტომის უნიკალური წყლის გამოყენებით დავიწყეთ თევზსაშენი მეურნეობის მშენებლობა: უნიკალური ჯიშის თევზ „ბესტერის“ მოშენება, რომელიც შესანიშნავად იყო ადაპტირებული პაპიასტომის ტბის წყალთან და წარმოადგენდა თევზების „ბელუგის“ და „ასტრინის“ ნაჯვარს. ეს პროექტი შესწავლილი იყო მაშინდელი ლენინგრადის იხტიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერების მიერ, რომელთანაც ჩვენ ვთანამშრომლობდით ხელშეკრულების საფუძველზე.

პირველ ეტაპზე რუსეთიდან, ასტრახანიდან, შემოვიყვანეთ ათი მილიონი ლიფსიტა და გავუშვით ჩანებში. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში მწიფდებოდა სამოქალაქო ომი.

არ მინდა გავიხსენო ის პერიოდი თუ რა ხდებოდა ამ მეურნეობის ირგვლივ, მაგრამ რომ არ ავდნიშნო ის ბარბაროსობა, რაც მოხდა, არ ვიქნები ჩემი სინდისის წინაშე მართალი. ერთხელ ღამის 4 საათზე მირეკავს მეურნეობის უფროსი და განწირული ხმით მთხოვს მისვლას. ნანახით შოკში ჩავარდი, ჩანებში, სადაც თევზები წონების მიხედვით გვყავდა განაწინებული, ერთ-ერთი ჩანიდან წყალი იყო გაშვებული და 1000 ერთეული თევზი დახოცილი ეყარა. დაცვის უფროსმა მომახსენა: ღამის 2 საათზე 2 ავტომატით შეიარაღებული კაცი მოვიდა და გვიბრძანა 20 კგ თევზის ამოყვანა. მე კატეგორიული უარი ვუთხარი, მაშინ ერთ-ერთმა ჩანიდან წყალი გამოუშვა, აიღეს დიდი თევზები და მიიმალნენ.“

ბევრი ფიქრის შემდეგ ერთპიროვნულად მივიღე გადაწყვეტილება თევზების გადარჩენის მიზნით მათი ტბაში გაშვება, დაახლოებით 5-6 მილიონი ცალის, რითაც დასრულდა საშვილიშვილო საქმე და მილიონობით მანეთი წყალს გავატანეთ.

რეწვის სეზონის დამთავრების შემდეგ დგებოდა გემების რემონტის პრობლემა, რაზედაც იხარჯებოდა დიდძალი თანხები. ამიტომ, დაჩქარებული ტემპით, შევქმენით ქ. სოხუმის გემთსარემონტო ქარხანა მშრალი დოკით.

გაგვიჩნდა სურვილი სპონსორობა გაგვწია ფოთის ფეხბურთელთა გუნდის „კოლხეთი-1913“-ისთვის, ამირჩიეს გუნდის პრეზიდენტად. შევადგინეთ ხარჯების ნუსხა გუნდის შენახვისათვის. გამოვნახეთ საკმაო ფინანსური რესურსი გუნდის გაჯასაღებისათვის. გუნდთან შეთანხმებით გავაფორეთ კონტრაქტი საქართველოში ერთ[ერთ გამოცდილ მწვრთნელთან, ჯონი ჯანელიძესთან. მწვრთნელს შევუთანხმდით, რომ პირველი წელი მოხმარდებოდა გუნდის მშენებლობას, რომ მის საქმიანობაში არავინ ჩაერეოდა და მისი მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა.

იმ პერიოდში ტარდებოდა საკავშირო პირველობა „ბ“ ჯგუფის გუნდებს შორის, სადაც თავმოყრილი იყო 16 უძლიერესი გუნდი. „კოლხეთი-1913“ იმყოფებოდა 12 ადგილზე. ბოლო 3 წლის განმავლობაში „კოლხეთი-1913“ ამ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი იყო. გაიხარა ქალაქმა, გააქტიურდნენ ქომაგები, ყველა მატჩზე, რომელიც ფოთში ტარდებოდა, სტადიონი გადაჭედილი იყო.

1989 წლის ზაფხულში ქ. თბილისში დინამოს სტადიონზე, 60 000 გულშემატკივრის თანდასწრებით ჩატარდა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატი ფეხბურთში. გუნდები შეარჩია ფერხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა. ჩემპიონატის გახსნის უფლება მიენიჭა თბილისის დინამოსა და ფოთის კოლხეთს. ჩემპიონატი გახსნა ფეხბურთის ფედერაციის პირველმა პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა ლიდერი ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით. მატჩი დამთავრდა ფოთელ ფეხბურთელთა გამარჯვებით 1:0. ეს იყო „კოლხეთი-1913“ -ის ბოლო გაბრწყინება. შემდეგ მოხდა ის რაც მოხდა, დაიწყო სამოქალაქო ომი...

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ჩემს მეგობრებზე. ჩვენ ბევრნი ვიყავით. ყველას უზომოდ გვიყვარდ ჩვენი ქალაქი. მათ შორის ბევრი სხვადასხვა კუთხიდან იყო ჩამოსული, მაგრამ ისინი ყველანი თავს ფოთელებად თვლიდნენ. ვხვდები იმასაც, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ბევრი მათგანი გარდაცვლილია და ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე. არ შეიძლება არ ავღვნიშნო ჩემი, ვახტანგ ბერაიას, ვაჟა ბასილაიას, ზაურ პაჭკორიას, ზაურ ცომაიას, გოგი მელიქიას, ნუგზარ ცომაიას სამაგალითო მეგობრობა. ჩვენ შორის ასაკში სხვაობა თვეებია. ჩვენ საბავშვო ბაღიდან, სკოლიდან ერთად მოვდივართ. გამოვიარეთ ძნელი ბავშვობა,ფიზიკური შრომა ჩვენთვის უცხო არ იყო. დღეს ჩვენი შემადგენლობიდან ვახტანგ ბერაია, რომელიც გვერდში მედგა მეთევზეთა გაერთიანების ჩამოყალიბებაში, და ნუგზარ ცომაია გამოგვაკლდა. ნათელში იყოს მათი სულები. ჩვენი მეგობრობა 70 წელს ითვლის. დღესაც ერთდ ვართ. ჩვენი მეგობრობის შესახებ ლეგენდები დადის. ვმეგობრობთ ოჯახებით, ერთმანეთთან ნათელ-მირონობაც გვაკავშირებს. მეგობრობენ ჩვენი შვილებიც და შვილის შვილებიც.

1993 წელს ქ. ფოთში პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა ფოთელი კაცი ნუგზარ ნადარაია. ერთხელ შეხვედრის დროს მითხრა: „შენ ხარ წარმატებული ხელმძღვანელი, სარგებლობ ავტორიტეტით,ცხოვრობ მშვიდად,ხომ არ იფიქრებდი „გემთმშენი“-ს დირექტორობაზე? მის შენარჩუნებაზე? ეს, ხომ თითოეული ფოთელის ვალია“. მივიღე გადაწყვეტილება და წავედი დანგრევის პირას მისული ქარხნის დირექტორად. იქ დამხვდნენ ქარხნის პატრიოტები, ვეტერანი ადამიანები, რომლებსაც უზომოდ უყვარდათ ქარხანა. მათ შორის ბევრი აქ აღიზარდა. შეიძლება ყველა ვერ გავიხსენეთ მაგრამ ძირითადი ბირთვი იყო: ჯემალ ცომაია, კუკური ფარღალავა, ომარ ხუხუნი, ემზარ დობორჯგინიძე, გული კიზირია, დიმიტრი ჭითანავა, სანდრო ქავთარაძე, ზურაბ ჩაგანავა, გენადი სახოკია, ბორის ლოლუა, როდესაც ქარხნის ბალანს გავეცანი გავოცდი, ქარხნის ძირითადი საშუალებები შეფასებული იყო არარეალურ ფასად (თანხას შეგნებულად არ ვასახელებ). ქარხანა ამ ეტაპზე უნდა გამოცხადებულიყო ბანკროტად და ამზადებდნენ გასაყიდად. დავადგინეთ ძირითადი საშუალებების და უძრავი ქონების ღირებულება 8 მილიონი აშშ დოლარი იყო. აქ არ არის შესული გასაყიდად გამზადებული გემ „კოლხიდა“-ს თანხა ერთი მილიონ ხუთასი ათასი აშშ დოლარი. ცვლილებების სახით, შევიტანეთ ქარხნის ბალანსში. შეცვლილი ბალანსი დაეგზავნა ეკონომიკის, მრეწველობის სამინისტროებს და სახელწიფო სტატისტიკის კომიტეტს.

მანამდე ორიოდე სიყვა ქარხნის შესახებ. საქართველოში ალბათ ბევრმა არ იცის, რომ წყალქვეშა ფრთიანი გემი „კომეტა“, რომელიც მსოფლიოში ცნობილია როგორც „მფრინავი დელფინი“ და მეორე თაობის ასევე წყალქვეშა ფრთიანი გემი „კოლხიდა“ შენდებოდა ქ. ფოთში. ისინი აღიარეს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ თავის კლასში და მიანიჭეს მსოფლიო ლიოდის უმაღლესი ჯილდო „ოქროს მერკური“. თქვენ ვერ წარმოიდგენთ ჩემს მდგომარეობას ჯილდოს მიღების დროს, რომელიც ესპანეთში გაიმართა. ვიყავი ამაყი, ბედნიერი რომ საქართველოს წარმოვადგენდი. მაშინ მივეცი ჩემს თავს პირობა, რომ ყველაფერს გავაკეთებდი ამ ტრადიციების შესანარჩუნებლად. ბევრმა ისიც კი არ იცის, რომ საქართველოში ორად-ორ ქარხანას ჰქონდა მინიჭებული სიზუსტისა და ხარისხის გარანტიის მეორე კლასის საპატიო წოდება, ესენი იყვნენ თბილისის „საავიაციო ქარხანა“ და ფოთის „გემთმშენი“.

ვინმემ თუ იცის, რომ ცოტნე დადიანის უნიკალური ქმნილება ძეგლის სახით, რომელიც ამაყად გადაჰყურებს ფოთს და მემედ აბაშიძის ძეგლი, რომელიც ამშვენებს ბათუმის ბულვარს ჩამოსხმულია გემთმშენში.

ბევრად რთული გამოდგა გემ „კოლხიდას“ მშენებლობის დამთავრება. ქარხანაში საჭირო რაოდენობის სპეციალისტები არ იყვნენ. დავიწყეთ მათი მოძიება. ქალაქში აღმოვაჩინეთ ჩვენი ქარხნიდან წასული უმაღლესი კლასის ხარატები, გემთამწყობები, შემდუღებლები, ელექტრომექანიკოსები, დიზელისტები, მოტორისტები.

შევუდექით საქმიანობას. 9 თვეში მოვახერხეთ „კოლხიდას“ მშენებლობის დამთავრება და ექსპლუატაციაში გაშვება. ეს ის დროა, როდესაც ქარხანაში შემოწმება ერთი დღითაც არ შეწყვეტილა. დოკის ამოქმედება და „კოლხიდას“ ექსპლუატაციაში გაშვება იმ დროში ნამდვილი შოკი იყო.

1995 წელს ქ. ფოთში შედგა სამთავრობო შეკრება, რომელსაც პრეზი-



დენტი ედუარდ შევარდნაძე ატარებდა. მე მინდოდა მთავრობის წევრები დამერწმუნებინა, რომ ქარხანა ქვეყნისთვის საჭირო იყო. ვთხოვე პრეზიდენტის რწმუნებულს, რომ სტუმრების ზღვაზე გასეირნება მოგვეწყო. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა მე დამეკისრა. ამით, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მინდოდა ყველასთვის იმის დამტკიცება, რომ ქარხანა ფუნქციონირებდა. დანიშნულ დღეს 70 ადამიანმა გემზე მოიყარა თავი, ყველას აინტერესებდა შედეგი. როდესაც ზღვაში გავედით გემმა სიჩქარე აკრიფა და ფრთებზე შედგა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმ მომენტში ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა. ეს იყო ქარხნის ყველა მუშაკის შრომის დაფასება და დიდი გამარჯვება. ზღვაში 2 საათი დავყავით. როდესაც საზღვაო ვაგზალში შემოვედით მე მივმართე პრეზიდენტს: „ბატონო ედუარდ, ეს არის მაგალითი თავგანწირული შრომისა და ქვეყნის სიყვარულისა“.

მთელი იმ წლების განმავლობაში რაც ქარხანაში ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვიჭირდა, არც ერთი დაზგა-დანადგარი, მოწყობილობა თუ ნედლეული არ გაგვიყიდია. ყველანი ვიყავით იმის მოლოდინში, რომ გაიყიდებოდა „კოლხიდა“, გავისტუმრებდით ვალებს, შევასრულებდით ჩვენს ვალდებულებებს ქვეყნის წინაშე და დარჩენილი ფულით დავიწყებდით ქარხნის გაჯანსაღებას. საბერძნეთში მყიდველიც გვყავდა ნაპოვნი, ფასიც შეთანხმებული, ერთი მილიონ ხუთასი ათასი აშშ დოლარი, როგორც, კი გავრცელდა ინფორმაცია „კოლხიდას“ გაყიდვის თაობაზე, დაიწყო ის რასაც ველოდი: მემუქრებოდნენ, წერდნენ ჩემზე ანონიმურ წერილებს, სატელეფონო შეტყობინებებს, მუქარა იყო ოჯახის წევრებთან დაკავშირებულიც. დიდი ხანი ვიბრძოლე, ამდენს ვედარ გავუძელი და მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო. შევკრიბე ქარხანაში ჩემი თანამებრძოლები, მოვიმიზეზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ყველას გადავუხადე მადლობა თანადგომისათვის და წამოვედი.

როდესაც გახდა ცნობილი, რომ ჩვენი საამაყო ფოთის „გემთსარემონტო გემთმშენი“ ქარხანა გაიყიდა ას ოთხმოცდაათი ათას დოლარად და ვუყურებ იმას, რაც იმ უნიკალური ქარხნიდან დარჩა, დიდ გულიტკივილს განვიცდი.

ცოტა რამ ჩემს ოჯახზე

გელა მამალაძე საინტერესო ცხოვრების გზა განვლო, წარმატებით ასპარეზობდა კალათბურთის ნაკრებში, რომელიც რამდენჯერმე საკავშირო ჩემპიონი გახდა. დღესაც გენპროკურატურაში ხელმძღვანელ თანამდებობაზეა. კარგი ოჯახის პატრონია, კარგი მამა და მეუღლე. **ლელა მამალაძე** ადრე შექმნა ოჯახი, მისი მეუღლე კახა მურჩიანია, წარმატებული ბიზნესმენი.

შვილიშვილებიც სახღვარგარეთ იღებენ განათლებას, ეს ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრეა!

შრომით საქმიანობაში წარმატებებს ვერ მივაღწევდი, ოჯახის, ჩემი მეუღლის მანანას მხარდაჭერის გარეშე. მან მთელი ცხოვრება შვილების, შვილიშვილების აღზრდას მოანდომა, დაუფასეს კიდეც ამაგი, მათ გამო ხომ კარგი სამსახური მიატოვა.

სადაც არ უნდა ვიყო, მშობლიურ ქალაქზე ფიქრი არ მასვენებს. მინდა კვლავაც აშენებული და დამშვენებული ვნახო, მას აქვს ამის პოტენციალი გეოპოლიტიკური და ადგილობრივი რესურსების თვალსაზრისით.

იგორ მამალაძე

ქალაქმა ამაგი დაუფასა პედაგოგებს, რომელთაც აბარიათ საქართველოს მომავალი

2020-2021 სასწავლო წლის შედეგებით საუკეთესო პედაგოგები დააჯილდოვეს

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების და სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა მატერიალურ წახალისებასთან დაკავშირებით" შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა 2020-2021 სასწავლო წლის შედეგების შესაბამისად, საუკეთესო პედაგოგები გამოავლინა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის **გოჩა კურდღელიას** ბრძანებით საჯარო სკოლებისა და კოლეჯი „ფაზისი"-ის 15 საუკეთესო მასწავლებელს ფულადი ჯილდო გადაეცათ.

პედაგოგებს საუკეთესო მასწავლებლის წოდების მინიჭება ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ირაკლი ხახუბიამ** და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **მამუკა პაპასკირმა** მიულოცეს.

მაია პავლოვა სსიპ ქალაქ ფოთის თეოფანე დავითაიას სახელობის პირველი საჯარო სკოლა;

ინგა გიორგაძე სსიპ ქალაქ ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის მე-2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

ანა კეკელიძე-სსიპ ქალაქ ფოთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მე-3 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

მაია სიჭინავა -სსიპ ქალაქ ფოთის მე-4 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

სალომე გუნია- სსიპ ქალაქ ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

ზაირა ცომაია- სსიპ ქალაქ ფოთის მე-6 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

ქეთევანი ბერაია -სსიპ ქალაქ ფოთის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის მე-7 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

შორენა ცომაია -სსიპ ქალაქ ფოთის მე-8 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

ეკატერინე ჩიქობავა- სსიპ ქალაქ ფოთის მე-11 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

მარინე პარუნაშვილი- სსიპ ქალაქ ფოთის მე-12 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

თეა გვილავა - სსიპ ქალაქ ფოთის მე-15 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

მარიამა გურაბანიძე -შპს ,,თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

ქეთევან ლომსანიძე -შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

ინგა ჩერნიშოვი -შპს ,,ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;

მარინა ქოლავა - სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი" მასწავლებელი;

მზისადარი ბახტაძე - სსიპ ქალაქ ფოთის ნიკო ნიკოლაძის სახელობის მე-2 საჯარო სკოლის ხანგრძლივი და წარმატებული ხელმძღვანელობისათვის.

ოლიმპიური ხეივანი გაიხსნა

ფოთის ცენტრალური პარკის მიმდებარედ ოლიმპიური ხეივანი გაიხსნა. პირველი ვარსკვლავი, რომელიც ხეივანში განთავსდა სიდნეის ოლიმპიური თამაშების პრიზიორს **ვლადიმერ ჟანტურიას** ეკუთვნის.

ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალს ქალაქ ფოთის მერი **გოჩა კურდღელია**, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი **ირაკლი ხახუბია**, სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი გუგუჩია**, ქალაქის საზოგადოებასთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაესწრნენ.

ვლადიმერ ჟანტურია ცნობილი მოკრივე, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორია. ის გახლავთ ევროპის თასის გათამაშების მეორე პრიზიორი (1998). ბულგარეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტნის კლასის ტურნირებში გამარჯვებული. გამოდიოდა პროფესიულ კრივში.

ფოთის მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდობის განვითარების 2021-2024 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა

ფოთის მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდობის განვითარების 2021-2024 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, რომლის მიზანია ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2021-2024 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ -მშვიდობისა და განვითარების აკადემიასა და სსიპ- საქართველოს ახალგაზრდობის საგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მომზადდა.

ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის" პროექტის ფარგლებში ფოთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა.

კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ფოთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების შესწავლა.

კვლევის შედეგების არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოხდება როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე ახალგაზრდებისთვის შესაბამისი ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის მშენებლობა, მდგრადი და გრძელვადიანი შედეგების მიღწევა, ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერება, შესაბამისი სერვისებისა და შესაძლებლობების შეთავაზება და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა.

ავსტრიის ტიროლის ფედერალურ მიწას და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ავსტრიის ტიროლის ფედერალურ მიწას და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, ხელშეკრულებას ხელი სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი გუგუჩიამ და ტიროლის ფედერალური მიწის გუბერნატორმა გიუნტერ პლატერმა მოაწერეს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს მხარეების შორის ეკონომიკის, ტურიზმის, კულტურის, განათლების, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროებს შორის თანამშრომლობას. ასევე გამოცდილების გაზიარებას. ერთობლივი ფორუმებისა და სამეწარმეო გამოფენა-ბაზრობების გამართვას, მეწარმეთა შეხვედრებს და ერთობლივი პროექტების შემუშავებას. მემორანდუმის შესაბამისად მოხდება სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის და ტიროლის ფედერალური მიწის მუნიციპალიტეტებს შორის პარტნიორული თანამშრომლობა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარესა და ტიროლის ფედერალურ მიწებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, ტიროლის ფედერალურ მიწაზე, ავსტრიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ქეთევან ციხელაშვილის ვიზიტის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. დოკუმენტს ტიროლის ფედერალური მიწის გუბერნატორმა ხელი სწორედ ციხელაშვილის ვიზიტის დროს მოაწერა.

ფოთის მუნიციპალიტეტში სამხატვრო სასწავლებლის რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა.

პროექტი ფონდი "ქართუ-მ" კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად განახორციელა.

სამხატვრო სასწავლებლის შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს და წლების განმავლობაში იყო ავარიულ მდგომარეობაში.

სამხატვრო სასწავლებელი იმ შენობათა შორისაა, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორის ფრიკის მიერ არის დაპროექტებული.

შენობა სრულად იქნა აღდგენილი და დაუბრუნდა პირვანდელი სახე, აღდგენილი იქნა არქიტექტურული დეტალები, რომელიც მას უნიკალურობას სძენს.

საკონცერტო ტურნეს ფარგლებში, ფოთში კულტურის და დასვენების პარკში ჯგუფი ქუჩის ბიჭების კონცერტი გაიმართა

კონცერტი კოვიდ-რეგულაციების დაცვით ჩატარდა.

კულტურული ღონისძიება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

საკონცერტო ტურნეს ფარგლებში, ფოთში, კოლხეთის ეროვნული პარკის ეზოში, მგალობელ-მომღერალთა ანსამბლ ,,დიდგორის" კონცერტი გაიმართა.

ფოლკლორული ანსამბლი ადგილობრივი მაყურებლის წინაშე ქართული ხალხური სიმღერებითა და საგალობლებით წარსდგა.

კონცერტი კოვიდ-რეგულაციების დაცვით გაიმართა.

კულტურული ღონისძიება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

მილოცვა

ბადრი ბასილაიას

გილოცავთ ფოთის საპატიო მოქალაქეობას. შენ საამისოდ დიდი გზა გაიარე,დიდი წვლილი მიგიძღვის ქალაქის სპორტლი ცხოვრების წინსვლაში, გამოჩენილი ფეხბურთელების აღზრდაში. აკი სიყვარულით ფეოლას გეძახდნენ შენი თანაქალაქელები. შენ კაცობის, მეგობრობის, სტუმართმოყვარეობის ნამდვილი ეტალონი ხარ. ყველას ეხმარები და ეფერები. ძალიან გვემაყები. კვლავაც წარმატებებს გისურვებთ და დიდხანს იყავით ჩვენდა სასახელოდ.

შენი სენაკელი დისშვილები

ფოთის ფონდი ,,ბილივი“ აგრძელებს მშობელთა კლუბის გაძლიერებას

ფოთის ფონდი ,,ბილივი“ აგრძელებს მშობელთა კლუბის გაძლიერებას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებს ჯგუფში გასაწევრიანებლად იწვევს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ფონდი ,,ბილივის“ პროგრამების კოორდინატორს ნატა დგებუაძეს ვესაუბრეთ, მისი განცხადებით, აღნიშნული კლუბი უკვე რამდენიმე წელია არსებობს და მასში 15 -მდე შშმ პირთა მშობელია გაწევრიანებული.

აღსანიშნავია,რომ ჯგუფი , ფონდში გახორციელებული ევროკავშირის ქვე გრანტის პროექტ ,,მშობელთა ხმის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა და მისი მიზანია გააერთიანოს შშმ პირთა საკითხებით დაინტერესებული აქტიური ადამიანები და გააძლიეროს ისინი.



ცნობილია,რომ ჯგუფის წევრობის მსურველებს შეუძლიათ. 2 ნოემბრამდე შეავსონ ბილივის ფეისბუქზე განთავსებული სააპლიკაციო ფორმა. აღსანიშნავია რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მათი ოჯახების მხარდაჭერა ფონდ ,,ბილივი“-ს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

2022 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ მესამე სავალდებულო საგნებს შორის მეტი არჩევანის შესაძლებლობები იქნება



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების მსურველებს 2022 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ მესამე სავალდებულო საგნებს შორის მეტი არჩევანის შესაძლებლობებს სთავაზობს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ საგანმანათლებლო რესურს -ცენტრის უფროსს გოჩა ქორქიას ვესაუბრეთ, როგორც ქორქია აღნიშნავს აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ, სასურველ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად , კონკრეტული პროგრამისთვის განსაზღვრული რელევანტური საგანი აირჩიონ ,რაც აბიტურიენტებს არჩევანის შესაძლებლობას გაუზრდის.

აღსანიშნავია რომ მესამე სავალდებულო-არჩევით საგანს, მათემატიკას ან და ისტორიას, დაემატება საგნები ლიტერატურა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და სამოქალაქო განათლება.

2022 წელს დაგეგმილია სიახლე ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტის ფორმატშიც ამასთან მცირე ცვლილებები შეეხება გეოგრაფიის საგამოცდო ტესტსაც.

სამუშაო შეხვედრა მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებით ცენტრში

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, ძეგლთადაცვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ზურაბ ტიბუა, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებით ცენტრში სამუშაო შეხვედრით იმყოფებოდა, ის ცენტრის წარმომადგენლთა მუშაობის პროცესს და პანდემიის პერიოდში გახორციელებულ პროექტებს გაეცნო და სამომავლო გეგმები განიხილა.

აღსანიშნავია რომ ცენტში 16, როგორც კულტურული ისე საგანმანათლებლო მიმართულება ფუნქციონირებს, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებით ცენტრში აცხადებენ პანდემის გამო,მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა ,რამაც შემოქმედებით მუშაობაზე უარყოფითი გავლენა იქონია.

აღსანიშნავია,რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებით ცენტრში ამ დროისთვის სულ 300 მოსწავლე ირიცხება, სწავლა კოვიდ რეგულაციების სრული დაცვით მიმდინარეობს.

მილოცვა

თინა ლაკიას ფოთის საპატიო მოქალაქედ არჩევასთან დაკავშირებით

ჩემო კოლეგავ და მეგობარო,შენი ცხოვრების გზა წარმატებებით და მრავალფეროვნებით არის გამორჩეული.ახალგაზრდობიდანვე იყავი შრომით ავანგარდში, შემდეგ მიიღე უმაღლესი განათლება, არ იყო იოლი იმ დიდი სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა. დღესაც ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში ხარ. ასევე ხარ ,,ფაზისის" აკადემიის წევრი.

შესაშური აქტივობითა და მონდომებით. მოქალაქეობრივი პოზიციით. დიდებული ოჯახი შექმენი და სასახელო შვილები აღუზარდე ქვეყანას... .დღესაც ახალი თაობის აღზრდის საქმეს თავდადებით ემსახურები.მრავალი ჯილდოს მფლობელი ხარ,მაგრამ ფოთის საპატიო მოქალაქეობა შენთვის ყველაზე ძვირფასია.გილოცავ ამ დიდ ადიარებასა და დაფასებას,რომელიც რჩეულთა ხვედრია. მეამაყება, რომ ასეთი კარგი მეგობარი მყავს-ქალობისა და დედობის ეტალონი. შენი ცხოვრების დევიზია ,,ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა".

სიყვარულითა და პატივისცემით ინგა აბრალავა

30 ოქტომბერს, მუნიციპალური არჩევნების მეორე ტური 5 თვითმმართველ ქალაქსა და 15 მუნიციპალიტეტში გაიმართება.

ფოთის №70 საოლქო,საარჩევნო, კომისიის თავმჯდომარის სალომე როდონაიას,თქმით ყველა საუბნო კომიასიამ ფუნქციონირება 17 ოქტომბერს დაიწყო და მათ უკვე, სამაგიდო სიები და ყველა საჭირო დოკუმენტაცია გადაეცათ.

ამ დროისთვის კომისიის წევრთა ტრენინგები, პროცედურული ხასიათის საკითებზე მიმდინარეობს და ის 4 ეტაპად ჩატარდება, ფოთში სულ 33 საარჩევნო უბანია მათ შორის 1 კოვიდ უბანი.

შეგახსენებთ რომ ფოთში, მეორე ტურში, ქალაქის მერობისთვის ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი გიგი უგულავა და ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს კადიდატი ბექა ვაჭარაძე იბრძოლებენ .

თეოფანე დავითაიას სახელობის პირველი საჯარო სკოლის ახალგახსნილ იდეათეკაში, ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, კურსდამთავრებულების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა

საუკეთესო კურსდამთავრებულებს მედლები გადასცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მამუკა პაპასკირმა, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ზურაბ ტიბუამ და ამავე სამსახურის განათლების განყოფილების უფროსმა ნინო ჯაკონიამ.

დაჯილდოების ცერემონიას ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი გოჩა ქორქია, კურსდამთავრებულთა მშობლები, პედაგოგები და სკოლის დირექტორები ესწრებოდნენ.

საქართველოს ჰიდროგრაფიულ სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი ხორციელდება



საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში, სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიული სააგენტოს ინიციატივით ოფიციალური განვითარების დახმარების ( ) პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ჰიდროგრაფიული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი ხორციელდება, რომელიც საქართველოს პორტებში ჰიდროგრაფიული ტექნოლოგიების დანერგვას, ერთობლივად საზღვაო სანავიგაციო რუკების წარმოებას და ჰიდროგრაფიული სამსახურის თანამშრომელთათის სპეციალური ტრენინგების უზრუნველყოფას მოიცავს.

პროექტის პირველ ეტაპზე საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს ჰიდროგრაფიული ტექნიკა გადაეცა, ნავსადგურებში კორეელი და ქართველი სპეციალისტებმა ერთობლივად განახორციელეს ბათიმეტრიული სამუშაოები , ასევე ზღვის დონის, წყლის დინებების, სიჩქარის და სხვა მახასიათებლების კვლევა. კვლევების პარალელურად ჰიდროგრაფიული სამსახურის სპეციალისტებისათვის კორეელი ინჟინრები სპეციალურ ტრენინგებს ატარებდნენ. ამ ეტაპზე ჰიდროგრაფიულ სამსახურში სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიული და ოკეანოგრაფიული სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებიან, რომლებიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შეჯამებას და აუდიტს აწარმოებენ.

აღნიშნული პროექტი სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის ინიციატივით ოფიციალური განვითარების დახმარების (ODA) -ს ფარგლებში ხორციელდება.

გვახსოვდეს

ან დავიტოვოთ მოყვრისა, ან ტოლის, ვიმაძლოს ზიანსა...

ისინი იღვწოდნენ ქალაქისათვის

ვალერიან
დოლგაია

ალიოშა
დამენია

შოთა
ინწკირველი



მიხეილ
კუპრავა

ემზარ
მაკალათია



რომან
წულაია



ველი
გიგაშვილი

ნაირა
ნაჭყებია-დანელია



დალი
გერსამია

მიდისარ, ისე მიგაქვს ჩვალომა,
თითქოს ზღვის პირას თივას თიმავდე,
ვინა სთქვა შენი გარდაცვალომა,
არა, უთუოდ დღეს დაიმადე.

მიდისარ, აღარ დაგემდურომა,
არც მიჩვიური არც ზეციური,
ვინა სთქვა შენი უმედურომა,
არა, დღესა სარ შენ მეენიური.

მიდისარ, ფიმილი გქონდეს მგზავრომა,
სხვა მინა მარად იყო ზღაპარი,
ვინა სთქვა შენი მიუსათრომა,
არა, შენ ჰპოვე თავშესათვარი.

მიდისარ, შენს მედს მეური ინატრომს
მედნიერს, მედი სხვა არსად არი,
შენ სიკრცეომმა დაგამინადრეს,
შენ უკვდავომის სარ მინადარი..



ვიქტორ
კრატასიშკი



ედემ
ცეკვაშვილი

შორენა
ქორჩილავა

კაკო
ჩხაიძე

ომარ
ზენაიშვილი



ბადრი
ჯღარკავა



ტრისტან
მანია

სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

მიმდინარე წლის 16-17 ოქტომბერს საკალათბურთო დარბაზში გაიმართა ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი

მიმდინარე წლის 16-17 ოქტომბერს საკალათბურთო დარბაზში გაიმართა ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში 2005-2006 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის, სადაც მონაწილეობდნენ ქალაქ ფოთის ,,ირაო''-ს, აჭარის 16 წლამდელთა, ქუთაისის ,,ქუთაისი''-ს და ოზურგეთის ,,გურია''-ს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები გუნდები.

მე-3 ადგილის გამოსავლენად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ფოთის ,,ირაო'' და ოზურგეთის ,,გურია'', სადაც გამარჯვება წილად ხვდათ ფოთელ კალათბურთელებს ანგარიშით 76:67.

ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ აჭარის 16-წლამდელთა ნაკრები გუნდი და ქუთაისის ,,ქუთაისი''. აჭარელმა კალათბურთელებმა გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 69:56 და გახდნენ ტურნირის გამარჯვებულები.

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი გახდა აჭარის კალათბურთელთა ნაკრების წევრი ზუკა ჯინჭარაძე, რომელსაც გადაეცა როლანდ გარუჩავას სახელობის თასი.

ფოთელი მოკრივე გიორგი საჯაია ევროპის პირველობაზე იმყოფება

ფოთის, ლედორ თავაძის სახელობის კრივის სკოლის მოსწავლე, გიორგი საჯაია ევროპის პირველობაზე , მონტენეგროში, ქალაქ ვუდბაში იმყოფება, სადაც რუსი და თურქი მოწინააღმდეგეები დამარცხა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ გიორგი საჯაიას მწვრთნელს დავით დავთიანს ვესაუბრეთ,როგორც ის აღნიშნავს ფოთელ მოკრივეს მხოლოდ ორი ბრძოლა აშორებს ევროპის ჩემპიონობამდე.

ფოთელი მოკრივის წარმატებას ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ზურაბ ტიბუა გამოეხმაურა. მან ფოთელ მოკრივეს წარმატებები უსურვა, და აღნიშნა რომ გიორგი საჯაიასთან ერთად ჩემპიონატზე, სქართველოს დამსახურებული მწვრთნელი კრივში, გოჩა რუსია იმყოფება.

გამოსათხოვარი

ბორის ლოლუა



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პროფესიონალი ავიატორი, ფოთის საპატიო მოქალაქე, ღვთის მოყვარე და მოშიში, სარიტუალო წესების დამცველი, ოჯახისა და ქვეყნის მოსიყვარულე **ბორის გრიგოლის ძე ლოლუა**.

ბორის ლოლუას მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებული იყო ავიაციასთან, ის იყო მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ყოველდღიური საქმიანობა. ბავშვობიდან ოცნებობდა ,,ლიოტჩიკობაზე" -ასე ვამბობდით ბავშვობისას, და აისრულა ეს ოცნება, რამეთუ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა გააგრძელა კიევის საავიაციო აკადემიაში, სადაც იმ დროს სწავლობდნენ ფოთელი ახალგაზრდები გივი და ზაურ ჩაჩავები, ჯემალ კახიანი და სხვები. აკადემიის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო სოხუმის აეროპორტში, მალე იგი დააწინაურეს ფოთის აეროპორტის უფროსად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

ბორის ლოლუა, როგორც ფოთისა და ფოთელების მოსიყვარულე პიროვნება, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იმ დროს ფოთში არ კეთდებოდა რაიმე ხელშესახები საქმე მას რომ მონაწილეობა არ მიეღო. მის დროს დაიწყო ფოთში დიდი ექსპერიმენტი. იმ პერიოდში სწორედ აეროპორტზე გადიოდა მისი ყველა პარამეტრები, რომელშიც ბორია უშუალოდ ღებულობდა მონაწილეობას. ყველა ის წარმატება, რასაც ქალაქი იმ დროს აღწევდა აეროპორტთან იყო დაკავშირებული და მთელ საბჭოთა სივრცეში იყო ცნობილი. ფოთი იმ დროს იყო, არამარტო საზღვაო კარიბჭე, არამედ საჰაერო ჭიშკარიც. საიდან არ ჩამოდიოდნენ ფოთში იმ დროს, რათა თავისი თვალით ენახათ ფოთელთა წარმატებები. კეთდებოდა დიდი საქმე და ლამაზდებოდა ფოთი. იგი გახდა ერთ-ერთი ყველაზე კოპწია, მიმზიდველი ქალაქი მთელს შავი ზღვის სანაპიროზე. სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას პოეტი ალიო მირცხულავა:

,,მწვანეში ყვინთავს ქალაქი ფოთი,
ჩემი ყრმობის და ბავშვობის ბუდე".

ბატონ ბორია ლოლუას შესანიშნავი ოჯახი ჰქონდა და თავადაც სანიმუშო მეოჯახე იყო, რომელსაც თამამად შეეძლო ეთქვა - ,,ჩემი ოჯახი, ჩემი ციხე და კარია".

სიძეც წარმატებული ბიზნესმენი შეხვდა, რითაც ძალიან ამაყობდა. ბორია ლოლუა ავტორიტეტით სარგებლობდა ფოთის საზოგადოებაში. მას მშვენივრად ესმოდა, რომ ავტორიტეტი თავისით არ მოდის, იგი თავდადებული შრომითა და გარჯით მოიპოვება. ამიტომ მისი საზრუნავი და საოცნებო იყო დიდი და საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა, რომელიც ფოთს მეგაქალაქად აქცევდა.

როგრც ზემოთ ავღნიშნეთ, ბორია ლოლუა იყო კარგი მეოჯახე, ბაბუა, მამა, მუდამ მშვიდი, წყნარი, თავისი სიმშვიდით ისეთ შენიშვნას მოგცემდა, რომ თავად უნდა მიმხვდარიყავი. ძალიან წყინდა ბოლოდროინდელი მოვლენები. გაჭირდა ცხოვრება, ნახევარი საქართველო უცხოეთში გადაიხვეწა. ამ არეჩევნებმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. ,,დიდი შერიგება", რასაც ზოგიერთი ლიდერები სთავაზობს ხალხს, არ გამოვა. ამას დიდი კაცობა უნდა. რაც მავანს არ გააჩნია.

შრომაში, გარჯაში, კაცობაში, სიყვარულში გაილია ერთი კარგი ფოთელის წუთისოფელი.

,,ბინდისფერია სოფელი,-
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება".

წაიღიღინებდა ხშირად, მასში ხომ წინაპრების, ლოლუების სისხლი მოჭარბებულად ჩქეფდა და ქართული ჰანგების ეშხი ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.

წავიდა ჩუმად და უხმაუროდ,
,,ეს გზა მეც ვიცი საითკენ მიდის, შენ მხოლოდ ის გზა, ის გზა მითხარი".
ის გზა, რწმენის, კაცობის, ღმერთისკენ მიდის.
უფალს ებარებოდეს მისი დიდებული სული.

მეგობრები

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მსახიობი, ღირსების ორდენის კავალერი, ფოთის თეატრის დამსახურებული მსახიობი, ფოთის საპატიო მოქალაქე

ქუქუნა ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, და ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასს

საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა) ასოციაციის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ქალბატონი

ქუქუნა ჩხეიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საპატიო ფოთელთა (მოქალაქეთა) ასოციაციის წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი სამეურნეო მუშაკის

ბორის ლოლუას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ეკა და გიორგი გუდავაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ქალბატონი

ქუქუნა ჩხეიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ეკა და გიორგი გუდავაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სამეურნეო მუშაკი

ბორის ლოლუა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

გაცხადება:
იყიდება: ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.მის: იერუსალიმის №4; ტელ: 551 499 555

მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი

თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.

თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.

ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა